ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელოს ნომერში 8

შვიდეულამდე — ერთი ნაბიჯი!

მეგობრის ხვედრი გაიზიარა

განვარჯიშული სიმფონიის ბოლო აკორდი

საბრალდებლო სქემა — ფეხბურთელებს

მომავალ ოლიმპიელთა გზა არტეკშიც იკვალება

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი

№ 169 (2532) ◉ ხუთშაბათი, 27 აგვისტო, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ



მომავალი მათ ეკუთვნით

ფოტოეტიუდი ფ. კრიმსკისა.

## ჯილდოები მამაც მთამსვლელებს

კავკასიონის მწვერვალთა დასაპყრობად არაერთხელ წასულან მთამსვლელები და უმეტეს შემთხვევაში დაუმორჩილებიათ ზვიადი მთები. მაგრამ მომხდარა ისეც, რომ პირქუშ მთებს თავიანთი ვერაგი ბუნება გაუმჟღავნებიათ და მთისა და ადამიანის ჭიდილში გამარჯვებულნი დარჩენილან. მაგრამ ეს ერთეული შემთხვევა მთამსვლელთა მამაცურ ბუნებას ვერ დააბრკოლებს ახალ-ახალ მწვერვალთა დასაპყრობად.

ერთ-ერთი ასეთი ტრაგედია კავკასიონის მთის კალთებზე მოხდა, როცა მოსკოველ ტურისტთა ჯგუფი მესტიაში გადმოსასვლელად მოემართებოდა.

ჩუხტუნას გადასასვლელზე ჯგუფს შემოაღამდა. ამინდი შეიცვალა. წამოვიდა კოკისპირული წვიმა. გავარდა მეხი... და რომ პატარა ვედრო არა, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდებოდა. მეხმა მოძებნა ვედრო და ადამიანიც იმსხვერპლა. დედის ხელებზე დალია სული ჯგუფის ხელმძღვანელმა 25 წლის ს. იგნატენკომ. იგი ღრმა თოვლში დაასაფლავეს... გულდამწვარი დედის .თხოვნით.

უბედურებაში მყოფთა დასახმარებლად გამოიყო ქართველ მთამსვლელთა ჯგუფი ა. ნემსიწვერიძისა და ა. ახვლედიანის ხელმძღვანელობით. ვაჟკაცურად იბრძოდნენ მთამსვლელები, რათა გამოეტაცათ თოვლის ტყვეობიდან ს. იგნატენკოს ცხედარი. მათ ჩამოასვენეს ტრაგიკულად დაღუპული მთამსვლელი და დედის მიერ შერჩეულ ადგილზე, ზოფხითოს ხეობაში ჰპოვა სამარადისო ბინა ს. იგნატენკოს განაწამებმა სხეულმა.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა მადლობა გამოუცხადა და საპატიო სიგელებით დააჯილდოვა: ლ. ახვლედიანი (ქუთაისის სპორტკავშირის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე), გ. დვალი (ამბროლაურის სპორტკავშირის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე) და მთამსვლელები — ა. ახვლედიანი, გ. ახვლედიანი, დ. არდანაშვილი, კ. ქლენტი, თ. ნარჩემაშვილი, რ. ნათაძე, ა. ნემსიწვერიძე, ს. რუხაძე, კ. ჩოგოვაძე.

## თამაშობენ ოლიმპიელები

3 სექტემბერს პარიზში დაიწყება ეროვნულ ნაკრებთა დიდი ტურნირი ფრენბურთში. აქ სხვა კოლექტივებთან ერთად გამოვლენ საბჭოთა სპორტსმენებიც. ამასთან დაკავშირებით ჩვენმა ოლიმპიურმა ნაკრებმა დაიწყო საკონტროლო შეხვედრათა სერიების ჩატარება.

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდა I და II ოლიმპიური ნაკრები. პირველ გუნდში გამოდიოდნენ: კაჭარავა, პოიარკოვი, ბურობინი, ჩესნოკოვი, ვენგეროვსკი, ბუგაენკოვი. მეორეში — კოვალენკო, ლიუგაილო, საურამბაევი, კორბანოვსკი, სიბირიაკოვი, კალაჩიხინი. ანგარიშით 3:2 (15:13, 15:17, 13:15, 15:3, 15:5) გაიმარჯვა პირველმა ნაკრებმა.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

### გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

„ა“ კლასი

მდგომარეობა 27 აგვისტოსათვის

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 20 | 11 | 7 | 2 | 37—11=+26 | 29 |
| ცსკა | 21 | 10 | 7 | 4 | 32—14=+18 | 27 |
| „დინამო“ (თბილისი) | 21 | 10 | 7 | 4 | 24—17=+ 7 | 27 |
| „დინამო“ (კიევი) | 20 | 8 | 9 | 3 | 30—18=+12 | 25 |
| სკა (როსტოვი) | 21 | 10 | 5 | 6 | 30—18=+12 | 25 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 21 | 9 | 6 | 6 | 25—17=+ 8 | 24 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 20 | 8 | 8 | 4 | 23—15=+ 8 | 24 |
| „დინამო“ (მინსკი) | 21 | 4 | 13 | 4 | 9—10=— 1 | 21 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 19 | 6 | 8 | 5 | 19—14=+ 5 | 20 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 21 | 5 | 8 | 8 | 11—22=—11 | 18 |
| „ვოლგა“ (გორკი) | 22 | 5 | 8 | 9 | 11—27=—16 | 18 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 21 | 5 | 7 | 9 | 15—21=— 6 | 17 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 22 | 6 | 5 | 11 | 10—28=—18 | 17 |
| „კაირატი“ (ალმა-ატა) | 20 | 5 | 6 | 9 | 17—21=— 4 | 16 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 21 | 5 | 6 | 10 | 17—26=— 9 | 16 |
| „შინიკი“ (იაროსლავლი) | 21 | 4 | 8 | 9 | 14—30=—16 | 16 |
| „მოლდოვა“ (კიშინიოვი) | 20 | 4 | 4 | 12 | 10—25=—15 | 12 |

• • •

„სპარტაკი“ — „კაირატი“ 0:2.

„კრ. სოვეტოვი“ — „შინიკი“ 1:0.

სკა (როსტოვი) — „დინამო“ (მინსკი) 1:1.




▲ **მოსკოვი, 26 აგვისტო.** გუნდურ ველორბოლაში მორიგ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად პარიზს გაფრინდა სსრ კავშირის ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაში არიან ა. ოლიზარენკო, გ. საიდხუჟინი, ი. მელიხოვი, ა. ვიარვასი და სხვ. ასპარეზობაში ჩვენი ველოსიპედისტების გარდა მონაწილეობენ საფრანგეთის, იტალიის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

▲ **ქაბული, 26 აგვისტო.** დღეს აქ სტუმრად მყოფი ტაშკენტის „პახტაკორის“ ფეხბურთელები საერთაშორისო ამხანაგურ მატჩში შეხვდნენ ქაბულის ნაკრებს. მატჩი მოიგეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 3:0.

▲ *კიევი. 26 აგვისტო. უკრაინის დედაქალაქში შეიკრიბნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მძლეოსნები. ხვალ, ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე დაიწყება სსრ კავშირის მორიგი ჩემპიონატი მძლეოსნობაში. მონაწილეთა შორის არიან მსოფლიოსა და ევროპის რეკორდსმენები თ. და ი. პრესები, ვ. ბრუმელი, ტ. შჩელკანოვა, ი. ტერ-ოვანესიანი და სხვ.*

*შეჯიბრება ტარდება ოლიმპიური პროგრამით ვაჟებისათვის — 24 სახეობაში, ქალებისათვის — 12-ში.*

### აღმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით, სამხრეთით...

▲ *კინგსტონი. კუნძულ იამაიკის დედაქალაქში გამართულ შეჯიბრებაზე 18 წლის ამერიკელმა მძლეოსანმა ჯ. ლინდგრენმა დაამყარა თავისი ქვეყნის რეკორდი 3 მილზე რბენაში—13.17,0. აშშ-ის ოლიმპიურ გუნდში უკვე მოხვედრილმა ტ. ჯექსონმა 100 მეტრზე რბენაში აჩვენა 10,3. 200 მეტრზე უძლიერესი იყო ტრინიდადელი ე. რობერტსი — 20,7.*

▲ **შვეცია.** ამ ქვეყნის რეკორდსმენმა სიმაღლეზე ხტომაში (216 სმ) 29 წლის ს. პეტერსონმა (იგი გამოდიოდა რომის ოლიმპიურ თამაშებში) გადალახა 2 მ 14 სმ.

▲ **მელბურნი. ახალი ეროვნული რეკორდი სიგრძეზე ხტომაში დაამყარა 25 წლის მძლეოსანმა ქალმა ჰ. ფრიტმა — 6 მ 39 სმ.**

## ოლიმპიელები კონკურენციის გარეშე

როგორც უკვე ვიუწყებოდით, მოსკოვში მიმდინარეობს ფრენბურთელ ქალთა ნაკრები გუნდების წინაოლიმპიური ტურნირი. მოგვყავს ამ ასპარეზობის პირველი წრის ტექნიკური შედეგები: საბჭოთა კავშირის ნაკრები — პროფკავშირების სპორტულ საზოგადოებათა ნაკრები 3:0 (15:6, 15:2, 15:8). ამ უკანასკნელმა შემდგომი მატჩი „ბურევესტნიკის“ ნაკრებთან კარგად ჩაატარა და მოიგო ანგარიშით 3:1 (13:15, 15:7, 15:7, 15:8). მორიგ მატჩში ბურევესტნიკელებმა კვლავ დაყარეს „ფარ-ხმალი“. ამჯერად ისინი დინამოელებმა დაამარცხეს — 3:1 (15:11, 7:15, 15:9, 15:8).

პირველ წრეში ჩატარებული მატჩების შემდეგ პირველ ადგილზეა საბჭოთა კავშირის ნაკრები, მეორეზე — „დინამო“, მესამეზე — პროფკავშირების ნაკრები, ხოლო მეოთხეზე — „ბურევესტნიკი“.



ახლახანს სოხუმში დამთავრდა რესპუბლიკური პირველობა წყალქვეშა სპორტში. გუნდური პირველობა მოიპოვა აფხაზეთის ნაკრებმა გუნდმა, რომელიც ახლა საკავშირო პირველობაზე იბრძვის ქალაქ ალუშტაში.

ს უ რ ა თ ზ ე: აფხაზეთის ნაკრები გუნდი (მარცხნიდან) ჟ. კობეცი, ნ. ხუციშვილი, ვ. ჭანტურია, ვ. მახროვა და ი. ტიომნი.

# მცხეთის მიდამოებში

## ტურისტის გზამკვლევი

დღეს ჩვენ მკითხველებს ვთავაზობთ დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასთან და ტრაგიკულ სიკვდილთან დაკავშირებული ადგილების ტურისტულ გზამკვლევს.

ამ გზამკვლევით მოგზაურობისათვის საჭიროა თბილისიდან საგურამომდე მანქანით ჩასვლა. აქ, ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში, ტურისტები გაეცნობიან მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ მასალებს. სახლ-მუზეუმის დათვალიერების შემდეგ ტყის ბილიკით ტურისტები მიემართებიან ზედაზენისაკენ.

ქართული ხუროთმოძღვრების ამ შესანიშნავ ძეგლთან მისვლამდე ტურისტები 1 საათით შეისვენებენ წყაროსთან, შემდეგ ავლენ ზედაზენზე, საიდანაც იშლება თვალწარმტაცი სანახაობა: მოჩანს მცხეთა თავისი დიდებული სვეტიცხოვლით. 3-4 საათს დაჰყოფენ მოლაშქრეები ზედაზენზე, შემდეგ კი ტყის უმოკლესი ბილიკებით დაეშვებიან წიწამურისკენ. აქ ქართველი ხალხის უბოროტესმა მტრებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ი. ჭავჭავაძე. წიწამურიდან ტურისტები მანქანით ბრუნდებიან თბილისში.




# შარშანდელზე უკეთესად

### საქართველოს პიონერ-მოსწავლეთა წარმატება არტეკში

აგვისტოს პირველ ნახევარში არტეკში დიდი პიონერული სპორტული ზეიმი ჩატარდა. ეს იყო პიონერთა II საკავშირო თამაშები, სადაც ძალებს ცდიდნენ სოფლისა და ქალაქის ნორჩი სპორტსმენები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფლის სკოლებს შორის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა მიერ საერთო გუნდურ ჩათვლაში II საპრიზო ადგილის დაკავება.

საქართველოს სოფლის სკოლების ღირსებას მძლეოსნობაში ბიჭებს შორის იცავდნენ გლდანის მეორე სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები. გლდანელებისა და მათი მწვრთნელის რ. ოდიშარიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მძლეოსნურ ოთხჭიდში არავის დაუდეს ტოლი, მოიპოვეს პირველობა და გარდამავალი თასი. ამავე სკოლის აღსაზრდელები ამანათრბენში 5×60 მ მესამე პრიზიორები იყვნენ. პიონერულ ოთხჭიდში 90 მონაწილეს შორის პირად ჩათვლაში საქართველოს წარმომადგენელთაგან ყველაზე უკეთესად მეოთხე ადგილზე გავიდა (გ. ყურაშვილი). მომდევნო ადგილიც მისმა თანაგუნდელმა ვ. ჯინჭარაძემ იგდო ხელთ. ამ ჭაბუკებმა სიგრძეზე ხტომაში კიდევ უფრო უკეთესი შედეგები აჩვენეს: ჯინჭარაძე პირველი იყო 594-სანტიმეტრიანი ზღვარის გადალახვით, ხოლო ყურაშვილი — მეორე (581 სმ). წარმატება იქნა მოპოვებული სიმაღლეზე ხტომაშიც. აქ თამაშების მხოლოდ ოთხმა მონაწილემ აიღო 155 სმ სიმაღლე. მათ შორის იყო გლდანელი მოსწავლე ვ. ვიბლიანიც, რომელსაც ჩატარებული ცდების დაანგარიშების შემდეგ ვერცხლის მედალი ერგო.

არანაკლებ დიდი წარმატება მოიპოვეს მახარაძის რაიონის სოფელ ცხემლისხიდის მძლეოსანმა გოგონებმა. ისინი თამაშებზე მესამე პრიზიორები გახდნენ (მწვრთნელი გ. გვარჯალაძე). ასევე საპრიზო ადგილი (II) მოიპოვეს ამ სკოლის მოსწავლეებმა ამანათრბენშიც (5×60 მ).

სოფლის სკოლების ფრენბურთელთა შეჯიბრებაზე ყველაზე კარგი შედეგი საქართველოდან გარდაბნის რაიონის სამგორის საშუალო სკოლის ბიჭებმა (მწვრთნელი ჟ. მჭედლიშვილი) მოიპოვეს (IV ადგილი). განსაკუთრებით სასიხარულოა წულუკიძელ კალათბურთელთა წარმატება. წულუკიძის მე-2 საშუალო სკოლის ბიჭები მეორე ადგილზე (მწვრთნელი ა. მენაბდე) გამოვიდნენ, ხოლო წულუკიძის რაიონის სოფელ კუხის საშუალო სკოლის გოგონები — IV ადგილზე (მწვრთნელი ჯაფარიძე).

ქალაქის სკოლების სასპარეზო პროგრამა უფრო ფართო იყო. აქ მოსწავლეები ეჯიბრებოდნენ მძლეოსნობაში, ცურვაში, ტანვარჯიშში, ფრენბურთსა და კალათბურთში. საერთო-გუნდურ ჩათვლაში საქართველოს სპორტსმენები პრიზიორთა შორის (III) აღმოჩნდნენ.

ამ თამაშებზე ქალაქის სკოლებს შორის ყველაზე დიდი წარმატება წილად ხვდათ თბილისის მე-13 საშუალო სკოლის მოსწავლეებს. ამ სკოლის ბიჭებმა გამარჯვებულის სახელი არავის დაუთმეს, ხოლო გოგონებმა V ადგილი დაიკავეს (მწვრთნელი ლ. მორგუნენკო). სპორტის სხვადასხვა სახეობაში მეორე საპრიზო ადგილები მოიპოვეს ქუთაისის 23-ე საშუალო სკოლის ტანმოვარჯიშე ბიჭებმა, თბილისის მეორე საშუალო სკოლის ფრენბურთელ გოგონათა გუნდმა (მწვრთნელი რ. მეგრელიშვილი), თბილისის 43-ე საშუალო სკოლის კალათბურთელ ბიჭების კოლექტივმა (მწვრთნელი ბ. პოლსკი). ერთი საფეხურით ჩამორჩნენ პრიზიორთა სამეულს თბილისის 126-ე საშუალო სკოლის კალათბურთელი გოგონები.

ქალაქის სკოლებს შორის ჩვენი მძლეოსანი პიონერები შედარებით ხუსტად გამოვიდნენ. მძლეოსნურ პიონერულ ოთხჭიდში ბათუმის მე-15 საშუალო სკოლის ბიჭებმა VIII ადგილი დაიკავეს (1675 ქულა), ხოლო თბილისის მე-13 საშუალო სკოლის გოგონებმა — XI (1554 ქულა).

ჯ. ენდელაძე



ამ სურათზე აღბეჭდილი არიან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ცენტრალური სასპორტო სკოლის აღსაზრდელები (მარცხნიდან მარჯვნივ) — შ. ხვთისიაშვილი, ე. ბულალაშვილი, ჰ. ალექსოვი და ლ. სამხარაული. ამ ოთხი ნორჩი შუბისმტყორცნელებიდან ორი — ე. ბულალაშვილი და ჰ. ალექსოვი უმცროსი ასაკის მოსწავლეთა შორის საქართველოს ჩემპიონები არიან.

ფოტო ი. იუნაევისა.

## სპორტული ქრონიკა

### ლანჩხუთი

დამთავრდა „კოლმეურნის“ 1964 წლის რაიონული პირველობა ფრენბურთში. ტურნირი დაუმარცხებლად ჩაატარეს მამათის კოლმეურნე ფრენბურთელებმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ქვემო აკეთის კოლმეურნეობის სპორტსმენები, ხოლო მესამეზე—საკოლმეურნეობათაშორისო საამშენებლო ორგანიზაციის წარმომადგენლები. პირველობაში მონაწილეობდა 378 სპორტსმენი, მათგან 31-მა შეასრულა სათანრიგო მოთხოვნები.

* * *

ერთი თვე მიმდინარეობდა „საქსოფლტექნიკის“ გაერთიანების შიდასაკოლექტივო პირადი პირველობა ჭადრაკში. 16 ქულით პირველი ადგილი დაიკავა შ. სარიშვილმა, მეორე ადგილზე გამოვიდა შ. ცინცაძე.

ი. ებრალიძე

# შედეგები და მიზეზები



ამას წინათ კრასნოდარში დამთავრდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს მოზარდ მძლეოსანთა პირველობა. გუნდური ადგილები ასე განაწილდა: უკრაინა, რსფსრ, ბელორუსია, მოსკოვი, ყაზახეთი, საქართველო და ა. შ. (სულ გამარჯვებისათვის იბრძოდა 14 გუნდი).

ამ წერილის მიზანი ტექნიკური შედეგების გადმოცემა კი არ არის, არამედ იმ მიზეზების გარკვევა, რამაც განაპირობა საქართველოს სპორტსმენთა ერთი ადგილით უკან დახევა.

ტურნირი მეტად მწვავედ მიმდინარეობდა. სამწუხაროდ, საქართველოს გუნდში ვერ გამოვიდა გასული წლის ჩემპიონი ბადროს ტყორცნასა და ბირთვის კვრაში ი. ნოვიკოვი, მაგრამ მაინც, შარშანდელთან შედარებით, იგრძნობოდა მონაწილეთა ტექნიკური დონის ზრდა. თუ გასულ წელს ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა აჩვენეს 39 სათანრიგო შედეგი (1 პირველი, 12 მეორე და 26 მესამე), წელს იგი საგრძნობლად გაიზარდა. ამჯერად ნაჩვენები იქნა 48 სათანრიგო შედეგი. გაუმჯობესდა 34 მაჩვენებელი, ამასთან ოთხ სახეობაში პირველად მივიღეთ ჩათვლები. ასე რომ, ჩვენი სპორტსმენები უკეთესად გამოვიდნენ პროგრამის 38 სახეობაში, ხოლო 12-ში დარჩნენ ძველ დონეზე, ან გააუარესეს მაჩვენებლები. გასულ წელს საქართველოს წარგზავნილებმა დაისაკუთრეს 5 საპრიზო ადგილი, წელს — 8. თითქოს და წინსვლა არის, მაგრამ მაინც საბოლოო ჯამში გუნდმა მეხუთედან მეექვსე ადგილზე გადაინაცვლა.

ანალიზმა გვაჩვენა, რომ მართალია, შეიმჩნევა შედეგების ზრდა, მაგრამ იგი გაცილებით მეტია ჩვენს მოწინააღმდეგეებთან. ეს კი იმან განაპირობა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ მცირეა მძლეოსნობაში მომეცადინეთა რაოდენობა, დაბალია ვარჯიშების შესრულების ტექნიკური დონე, ნაკლებია სისწრაფე. სისწრაფე კი ყველა წარმატების საფუძველია. იგი აუცილებელია არა მარტო სპრინტერებისთვის, არამედ საშუალო დისტანციებზე მორბენლების, მხტომელების, მტყორცნელებისთვისაც.

გადავხედოთ ციფრობრივ მონაცემებს. 100 მეტრზე რბენაში საქართველოს სპორტსმენებმა დაიკავეს 26-ე და 27-ე ადგილები, 200 მეტრზე — 29-ე და 34-ე, 400 მეტრზე — 23-ე და 24-ე ადგილები და სხვ. სწორედ სისწრაფის რეაქციის უქონლობამ გამოიწვია მხტომელების, მტყორცნელების, მრავალჭიდოსნების წარუმატებლობაც.

მხედველობაშია მისაღები სპორტსმენთა ფიზიკური მომზადებაც. ჩვენი რესპუბლიკის მოზარდ მძლეოსნებს ზედიზედ სამი-ოთხი დღის შუალედით მოუწიათ 3 შეჯიბრებაზე გამოსვლა. მათ ვერ გაუძლეს ფიზიკურ დატვირთვას, გადიღალნენ და საბოლოოდ შესაბამისი შედეგიც მოიმკეს.

ვერ ვიტყვით, რომ ჩვენთან სათანადო დონეზე არ იყოს ტექნიკის სწავლების მეთოდიკა, მაგრამ ჩამორჩება სპორტსმენებში მათი თვისობრივი სრულყოფის საქმე. ნაკლები ყურადღება ეთმობა მომავალი მტყორცნელების, მხტომელების და სხვა კადრების შერჩევას. რესპუბლიკა მდიდარია პერსპექტიული, კარგი ფიზიკური მონაცემების მქონე ახალგაზრდებით, მაგრამ ისინი რატომღაც სხვა სახეობებს ამჯობინებენ და ავიწყდებათ, რომ მათ მიერ არჩეულ სახეობებში წარმატებათა მოპოვებისთვის აუცილებელია სწორედ მძლეოსნობაში ვარჯიშიც. ახალგაზრდების დაინტერესება და მიზიდვა კი მწვრთნელების საქმეა, თუმცა ბევრის გაკეთება შეუძლიათ საშუალო სკოლების მასწავლებლებს, კომკავშირულ ორგანიზაციებს.

თუ მოვიგონებთ, რომ რაიონულ სპარტაკიადებზე გამარჯვებას აღწევენ ის სკოლები, სადაც კარგადაა განვითარებული მძლეოსნობა, დავრწმუნდებით ამ სახეობის უპირატესობაზე. ვფიქრობთ, ეს ფაქტი თავიანთ შემდგომ მუშაობაში უნდა გაითვალისწინონ ფიზაღზრდის მასწავლებლებმა.

ახალგაზრდა მძლეოსნების აღზრდის მხრივ ყველაფერი სათანადო დონეზე არაა თბილისში. შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთში მეტს მუშაობენ. ეს დადასტურდა უკანასკნელ რესპუბლიკურ ჩემპიონატზე, როცა სწორედ აფხაზეთის ნორჩმა დინამოელებმა ჩამოიტოვეს უკან ძლიერი კონკურენტი, მოსწავლეთა რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე კი ერთობ მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს დედაქალაქელებს.

აფხაზეთის სპორტსმენთა ეს წარმატება განაპირობა ამ სახეობის პოპულარიზაციამ და მწვრთნელთა მონდომებულმა საქმიანობამ. ძალთა შეფარდებაზე მიუთითებს კიდევ ერთი ფაქტი: „ნორჩი დინამოელის“ რესპუბლიკურ ნაკრებში 10 თბილისელი და ამდენივე აფხაზეთის სპორტსმენი იყო. გუნდში შეყვანილ იქნა აჭარის 8 და ქუთაისის 4 წარმომადგენელი. როგორც ვხედავთ, თბილისში (რომ არაფერი ვთქვათ აჭარასა და ქუთაისზე) ბევრი რამაა გასაკეთებელი, კერძოდ, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მძლეოსნური მოედნების კეთილმოწყობას და ახალი სექტორების აგებას საცხოვრებელ მასივებში. უამისოდ ძნელია რაიმე წარმატებაზე ლაპარაკი, რადგან ყველა ნორჩს როდი აქვს სტადიონებზე სიარულის საშუალება.

რაც შეეხება თბილისის „დინამოს“ სტადიონს, მისი კარები ღიაა ყველა მსურველისთვის. მძლეოსნობით დაინტერესებულ ნორჩებსა და მოზარდებს აქ მზრუნველობას არ მოაკლებენ გამოცდილი მწვრთნელები. საჭიროა მხოლოდ მათი ცალ-ცალკე თუ ორგანიზებულად მოსვლა. ვინ იცის, იქნებ სულ მალე რომელიმე მათგანმაც ისახელოს თავი, მოიპოვოს უფრო დიდ ასპარეზზე გასვლის უფლება! „დინამო“ კი ამის ყველა პირობას შექმნის.

ვ. ლაგუნსკი,
„ნორჩი დინამოელის“ მწვრთნელი.

# როცა აქტივი მხარში გიდგას

თუ გსურს სრული წარმოდგენა მიიღო სოფლად სპორტული ცხოვრების შესახებ, უნდა მიაკითხო სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ რაისაბჭოს. ჩვენც ასე მოვიქეცით.

ოჩამჩირეში იგი მოთავსებულია კინო-თეატრის შენობის ერთ პატარა ოთახში. მის კედლებზე გამოკრული სიგელები და ვიმპელები თვალნათლივ მოგვითხრობენ ოჩამჩირელი კოლმეურნე სპორტსმენების გამარჯვებებზე. მაგრამ უფრო მეტის გაგება შეიძლება იმ სქელტანიანი „საქმეებიდან“, რომელიც რაისაბჭოს თავმჯდომარეს კ. შამუგიას აქვს მაგიდაზე.

როცა ეცნობი ცოდნით და მონდომებით გაკეთებულ ჩანაწერებს, გეგმებსა და მათი შესრულების მონაცემებს, სპორტულ კალენდარსა და შეჯიბრებების შედეგებს, კრიტიკულ შენიშვნებს, სექციების მუშაობის აღრიცხვიანობას, ნათელი ხდება რა გულისხმიერებით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას კ. შამუგია.

— ამას ყველაფერს აკეთებენ ამხანაგები, რომლებსაც მინდობილი აქვთ სპორტის სახეობები, — გვიხსნის თავმჯდომარე, — ჩვენ ერთი ოჯახი ვართ, უამისოდ ძალიან ძნელი იქნებოდა საქმიანობა.

ცხადია, როცა ასეთი ერთსულოვნებაა, მუშაობაც სათანადო დონეზეა.

სპორტსაზოგადოება ბევრ პუნქტში წარმატებით იბრძვის თანრიგოსნების, ნიშნოსნების, საზოგადოებრივი ინსტრუქტორებისა და მსაჯების მომზადების გეგმების შესრულებისათვის. ახალი წლიდან მომზადებულია 68 მეორეთანრიგოსანი (გეგმით გათვალისწინებული 154-დან), 180 მესამეთანრიგოსანი (272-დან), 53 მსაჯი (66-დან), 23 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი, მათ შორის I და II საფეხურის 233 ნიშნოსანი.

თ. ძიძიგური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტოკიო ელის მომავალ გმირებს

## ოლიმპიური ფანფარების მელოდია



მ ო ს კ ო ვ ი. (ჩვენი სპეც. კორ.). საბჭოთა კავშირის უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობის სტარტი და ფინიში ოლიმპიური ფანფარების მელოდიამ დაამშვენა. ამას მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა როდი ჰქონდა. თუ შეჯიბრების სტარტზე ეს მელოდია ლუჟნიკში სპორტის სასახლის ავანსცენაზე მდგარ ყველა ტანმოვარჯიშეს ტოკიოსკენ უხმობდა, ფინიშზე იგი ბევრისთვის უკვე თავისებურ რეკვიემად ჟღერდა: მხოლოდ 14 საუკეთესო ქალსა და ვაჟს ააღელვებს თვენახევრის შემდეგ იაპონიის დედაქალაქში ოლიმპიური ფანფარების ჰანგები. ააღელვებს და ბრძოლებისკენ მოუწოდებს...

როგორც მოსალოდნელი იყო, საბჭოთა ტანმოვარჯიშეების შერჩევითმა ტურნირმა დიდი ინტერესი გამოიწვია არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც. ასპარეზობას ბევრი უცხოელი სტუმარი — ტანვარჯიშის სპეციალისტი დაესწრო. მათ შორის იყო ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ტაკასი კონდო (იაპონია). ტურნირის სამივე დღეს იგი გულდასმით ადევნებდა თვალს ყოველი მონაწილის გამოსვლას და ავტოკალამი არ გაუჩერებია — გამუდმებით იწერდა რაღაცას თავის სქელ ბლოკნოტში.

ქალთა შეჯიბრებას ერთგვარად დაუკარგა ელფერი ლ. ლატინინას, პ. ასტახოვასა და ს. მურატოვას გამოსვლებმა... მაყურებელთა როლში. და მაინც, ასპარეზობა საინტერესო და მწვავე ბრძოლით აღინიშნა. პაექრობა უმთავრესად გროდნოელ ე. ვოლჩეცკაიასა და ლენინგრადელ თ. მანინას შორის წარიმართა.

შეჯიბრებამ თვალნათლივ დაგვანახვა, რომ ივლისის პირველ რიცხვებში ჩატარებული საკავშირო ასპარეზობის შემდეგ მწვრთნელებს და სპორტსმენებს დრო უქმად არ დაუკარგავთ და საგრძნობი მუშაობა გაუწევიათ. შესამჩნევად დაიხვეწა ბჯენითი ხტომები, მაგრამ კვლავინდებურად მოიკოჭლებს დახტომი. ეს ნაკლი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს წვრილმანად, რადგან სწორედ ამგვარი „წვრილმანები" საბოლოო ჯამში გადაწყვეტს ოლიმპიური ტურნირის საპრიზო ადგილების ბედს.

სამწუხაროდ, შეჯიბრებაზე საკმაოდ ბევრი იყო ასეთი „წვრილმანი" და უზუსტობა იარაღებზე ვარჯიშობისას — ტემპის დარღვევა, მკვეთრად გამოსახატავი ილეთების მიფუჩეჩება, ხელებისა და ფეხების უმნიშვნელო მოხრა და სხვ. დიდი შრომა მართებთ ჩვენს ქალებს სავალდებულო პროგრამის დასახვეწად, რადგან ეს ხარვეზები უმთავრესად სწორედ აქ შეიმჩნევა (მაგალითად, ნაირსიმაღლის ორძელზე).

ცალკე უნდა შევეხოთ ქართველ ტანმოვარჯიშეებს ა. ჯანუყაშვილსა და მ. ნინოშვილს. ჯანუყაშვილმა, რომელიც არ ითვლებოდა ფავორიტებში, უძლიერეს მეტოქეებთან ჭიდილში შესანიშნავი საბრძოლო თვისებები გამოამჟღავნა და დღეისათვის ასევე შესანიშნავი შედეგი მოიპოვა — VIII ადგილი უძლიერესთა შორის! სავალდებულო პროგრამის შესრულების დღეს მან წარმატებით განახორციელა ბჯენითი ხტომა და გაუსწრო ამ სახეობის ისეთ სახელმოხვეჭილ „სპეციალისტებს", როგორიცაა ე. ვოლჩეცკაია, ლ. გრომოვა და თ. ალექსეევა. მსაჯებმა სათანადო შეფასება მიუზღეს ჩვენს გოგონას — 9,733 ქულა!



სამაგიეროდ, პირდაპირ გასაოცარი იყო მ. ნინოშვილის „ხელჩაქნეული" განწყობილება, მისი გამომწვევი ინერტულობა და, ნუ მოვერიდებით ამ სიტყვას, უპასუხისმგებლობა. სპორტის სასახლის ხალხმრავალი აუდიტორია, რომელიც დაუფარავი ინტერესით მოელოდა ამ თვითმყობადი და თავისებური ქართველი სპორტსმენის ვარჯიშს, გაწბილებული დარჩა. თავისი გამოსვლით ნინოშვილი თითქოს იძულებით ხარკს უხდიდა ვიღაცას, რითაც მაყურებლისადმი, გუნდისადმი და საკუთარი თავისადმი აშკარა უპატივცემლობას ამჟღავნებდა. ასეთი „დემონსტრაცია", ცხადია, არ შეშვენის ნიჭიერ ტანმოვარჯიშეს!

მ. ნინოშვილს ნაყოფიერი წვრთნისა და გეგმაზომიერი ვარჯიშისთვის ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი. მაშ, რაშია საქმე? თურმე ნუ იტყვით, მას წინასწარვე გადაუწყვეტია, რომ ტოკიოს საგზურთა ლიმიტი მისთვის ამოწურული იყო (?!). ეს ყოვლად უმართებულო და მცდარი „ვერსია" გახდა საფუძველი ნინოშვილის ამგვარი უღიმღამო და უპასუხისმგებლო გამოსვლისა.

ზემოთ ჩვენ ლაპარაკი გვქონდა ქალთა ასპარეზობისას გამოვლენილ „წვრილმანებზე". ანალოგიური ხარვეზებით ხასიათდებოდა ვაჟთა ტურნირიც. უპირველესად ყოვლისა, ეს ეხება გამოსვლებს ორძელსა და თავისუფალ ვარჯიშში. მაგალითად, ვერც ერთმა მონაწილემ ზუსტად ვერ შეასრულა თავისუფალი ვარჯიშის დასკვნითი ელემენტი — უკუმალაყით დახტომი. ეს კი, სულ ცოტა, 0,6 დაკარგულ ქულად დაუჯდება გუნდს. ასეთი „საჩუქარი" იაპონიაში შეიძლება ჩვენთვის საბედისწერო აღმოჩნდეს.

ოლიმპიურ ტურნირამდე დარჩენილ დროში ჩვენებს ძალზე დიდი შრომა მართებთ ორძელზე, რადგან მათ მიერ შესრულებული ბევრი ელემენტი მოკლებულია სიმკვეთრეს, სიზუსტეს და ამპლიტუდას.

კვლავ უაღრესად სასიამოვნო და სასიხარულო იყო ახალგაზრდა ს. დიამიდოვის (უზბეკეთი) გამოსვლა. ამ შრომისმოყვარე, მიზანსწრაფმა და ნიჭიერმა ტანმოვარჯიშემ ჯერ კიდევ საკავშირო ჩემპიონატზე მიიქცია საყოველთაო ყურადღება. მისი ვარჯიში ამჯერად კიდევ უფრო დამაჯერებელი იყო, — ჩემპიონატის შემდგომ დროში დაუღალავი და თავდადებული წვრთნის შედეგად ეს სპორტსმენი საოცრად გაიზარდა, თვალსაჩინოდ ამაღლდა და დაიხვეწა მისი ოსტატობა. მქუხარე ტაშით დააჯილდოვა მაყურებელმა მისი ნებისმიერი ვარჯიში ორძელზე. მსაჯებმაც სათანადოდ „დააჯილდოვეს" — 9,95 ქულა მისცეს! ასეთი მაღალი შეფასება კიდევ ორჯერ აინთო ელექტროტაბლოზე: გრომოვას ნებისმიერი თავისუფალი ვარჯიშისა და პ. სტოლბოვის ღერძზე ნებისმიერი ვარჯიშის შემდეგ.

...საბჭოთა ტანმოვარჯიშეები სამართლიანად ითვლებიან ერთ-ერთ უძლიერესებად მსოფლიოში. ბოლო წლებში, როგორც ცნობილია, მათ ძალზე სერიოზული მეტოქეები გამოუჩნდნენ — იაპონელები.

ბატონმა კონდომ სხვათა შორის თქვა, რომ ნებისმიერ ვარჯიშებში იაპონელებს გაცილებით უფრო რთული ილეთები აქვთ. საერთოდ კონდომ მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა სპორტსმენებს, მაგრამ მას ამ ასპარეზობის მსაჯები ოდნავ „გულუხვი" ეჩვენა და თქვა, რომ იაპონელი ოლიმპიელების შერჩევით ტურნირში ტანმოვარჯიშეთა გამოსვლების შეფასება 9,4-9,7 ქულათა ფარგლებში ირყეოდაო.

ასეა თუ ისე, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ტოკიომდე დარჩენილ დროში საბჭოთა ტანმოვარჯიშეები შეავსებენ ჯერ კიდევ არსებულ ხარვეზებს და წარმატებით იასპარეზებენ ამომავალი მზის ქვეყანაში.

**ვ. ჯაიანი,**
საქართველოს სახელმწიფო მწვრთნელი ტანვარჯიშში, სპორტის ოსტატი
**მ. კაკაბაძე**

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზევით — ა. ჯანუყაშვილი ასრულებს თავისუფალ ვარჯიშს; მარცხნივ — იარაღზეა ი. ცაპენკო — ჩვენი ოლიმპიური ნაკრების ერთ-ერთი იმედი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

---

● ვინ წავა ტოკიოში! ეს საკითხი უნდა გაერკვია მოსკოვის ახლო ხიმკის წყალსაცავში გამართულ ჩვენი ქვეყნის უძლიერეს სპორტსმენთა საკავშირო პირველობას აკადემიურ ნიჩბოსნობაში. აქ გაიმარჯვეს ორი ოლიმპიადის ჩემპიონმა ვ. ივანოვმა, ევროპის ჩემპიონებმა ბ. დუბროვსკიმ და ო. ტიურინმა, „ჟალგირისის" ოთხეულმა და სხვა ეკიპაჟებმა.

ტოკიოს თამაშებზე საბჭოთა ნიჩბოსნების მთავარი მეტოქეები იქნებიან გერმანიის ერთიანი გუნდი, ჩეხოსლოვაკია, ჰოლანდია, აშშ.

● ვ ა რ შ ა ვ ა. ი. კუსოჩინსკის მემორიალზე საინტერესო ბრძოლა გაიმართა შუბის მტყორცნელ ვაჟთა შორის. გამარჯვების პრეტენდენტი იყო მსოფლიოს 2 რეკორდსმენი, ყოფილი — იტალიელი ლიევორე და ახლანდელი — ნორვეგიელი პედერსენი. მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ დაისაკუთრა პირველი ადგილი. ახალგაზრდა პოლონელმა მძლეოსანმა ნიკიჩუკმა უკან ჩამოიტოვა ორივე ფავორიტი და აჩვენა 84 მ 89 სმ — ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი სეზონში. ლიევორეს შედეგია 78 მ 21 სმ, პედერსენისა — 76 მ 86 სმ.

### ახალი ამბები

პოლონეთის რეკორდსმენმა სიმაღლეზე ხტომაში ჩერნიაკმა დაძლია 2 მ 18 სმ. პოლონელი მძლეოსანი ქალები — პიონტკოვსკა და ჩეპლა ერთდროულად მივიდნენ 80 მეტრი თარჯრბენის ფინიშთან — 10,7. ქალთა 200-მეტრიანი დისტანცია მოიგო კუბელმა კობიანმა — 23,6.

● ფრენბურთელთა ოლიმპიური ტურნირი დაიწყება 11 ოქტომბერს კორეის სახალხო-დემოკრატიული და პოლონეთის გუნდების შეხვედრით. შემდეგ მოედანზე გამოვლენ სსრ კავშირისა და რუმინეთის ფრენბურთელები. შეხვედრები მოეწყობა იოკაჰამას 2 დახურულ სტადიონზე. თვითეული მათგანი იტევს 4.000 მაყურებელს. ტურნირის ყველა მატჩი ჩატარდება ოლიმპიური ბურთებით. წვრთნისათვის თვითეულ სპორტსმენს პერსონალურად გადაეცემა თითო ბურთი.

იმისათვის, რომ ფრენბურთელებმა ადვილად ჩააღწიონ შეჯიბრების ადგილს, შეიქმნება სპეციალური მარშრუტები, რომლითაც მონაწილენი ივლიან. მათ გააცილებს პოლიციელთა ესკორტი.

---

TOKYO 1964

## მაგდებურგის ტანვარჯიშული

თითქმის თვენახევარი დარჩა იმ მომენტამდე, როდესაც ტოკიოს სტადიონის კვარცხლბეკზე მდგარ თასში აგიზგიზდება ოლიმპიური ცეცხლი—ნიშანი XVIII თამაშების დაწყებისა.

მანამდე კი მსოფლიოს ასამდე ქვეყანაში ეწყობა ეროვნული ნაკრები გუნდების შესარჩევი ტურნირები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, სამატჩო შეხვედრები და სხვა ღონისძიებები.

ერთ-ერთი ასეთი შესარჩევი შეჯიბრების მეორე ტური მოეწყო ტანვარჯიშში გერმანიის ვაჟთა გუნდებისათვის ქ. მაგდებურგში (გდრ). როგორც ცნობილია, ოლიმპიურ თამაშებში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა გაერთიანებული გუნდებით გამოდიან. ამიტომ, მსგავსი შესარჩევი შეჯიბრებები პრინციპულად განსხვავებულ ხასიათს იძენს და დაძაბულ ვითარებაში ტარდება.

შეჯიბრებები ეწყობა ორ ტურად—ერთი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მეორე კი—გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. შეჯიბრების მსაჯთა კოლეგია ნეიტრალურია—მსაჯებს იწვევენ ორივე რესპუბლიკის სპორტული ფედერაციები სხვადასხვა ქვეყნიდან პარიტეტულ საწყისებზე. მაგდებურგის შეჯიბრებაზე გფრ-მ მოიწვია თითო საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ჰოლანდიიდან და შვეციიდან, ხოლო გდრ-მ — ერთი მსაჯი რუმინეთიდან და ორი— ჩვენი ქვეყნიდან—ვ. ლავრუშენკო (მოსკოვი) და მე (პირველ ტურში სამი მსაჯი გფრ-მ მიიწვია).

შეჯიბრება ორ დღეს მიმდინარეობდა მაგდებურგის ერთ-ერთ საუკეთესო სასპორტო დარბაზში, რომელიც 3 ათასამდე მაყურებელს იტევს. მეტოქე მხარეების რვა-რვა საუკეთესო სპორტსმენი შერეული რიგით ასრულებდა ვარჯიშებს ყოველ იარაღზე. საშინელი სიცხისა და უზომოდ გაჭიანურებული ასპარეზობის მიუხედავად მაყურებლით სავსე დარბაზის ინტერესი შეჯიბრებისადმი ერთი წუთითაც არ შენელებულა.

ასპარეზობა დამთავრდა გდრ-ის უპირატესობით. ოლიმპიური გუნდი დაკომპლექტდა მისთვის სასურველი შეფარდებით—4:2. პირველი ადგილი 226,8 ქულით (240 შესაძლებლიდან) მოიპოვა ფიულლემ (გდრ). მეორე და მესამე ადგილებზე გავიდნენ ფიურსტი და ლუისი (226,2 და 225,05, ორივე—გფრ). მომდევნო ადგილებზე იყვნენ კოპპე, კოსტე და ვებერი (სამივე—გდრ).

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქალთა ოლიმპიური გუნდი მთლიანად გდრ-ის ტანმოვარჯიშეებითაა დაკომპლექტებული, შეიძლება ითქვას, რომ ეს შედეგი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტანმოვარჯიშეთა ბრწყინვალე გამარჯვებაა.

გერმანიის გაერთიანებული ვაჟთა ოლიმპიური გუნდი ახალგაზრდული კოლექტივია, რომელიც თავისუფლად და თანამედროვე სტილით ასრულებს კარგი კომპოზიციის ვარჯიშებს. ამ ვარჯიშებში მრავლადაა ჩართული რთული ილეთები.

გერმანელ ტანმოვარჯიშეთა კარგ მომზადებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ორი დღის განმავლობაში შესრულებული 192 ურთულესი ვარჯიშიდან ადგილი ჰქონდა მხოლოდ 3-4 ჩავარდნას. თუ გუნდი ასეთივე წარმატებებით გამოვა ოლიმპიურ თამაშებზე, იგი უდაოდ საპრიზო ადგილის პრეტენდენტი იქნება.

მინდა დიდი მადლიერებით მოვიხსენიო ჩვენი მასპინძლების გულთბილი სტუმართმოყვარეობა, რამაც საუკეთესო პირობები შექმნა შრომისა და დასვენებისათვის.

**გ. ჭილაია,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

# გადატეხილი წერაყინი და გაბზარული ფოტოკამერა

გურამ თიკანაძე შესანიშნავი მთამსვლელი იყო. აქ არ შევუდგებით მის ალპინისტურ გამარჯვებათა ჩამოთვლას — ეს ისედაც საკმაოდაა ცნობილი. ჩვენ გვსურს მხოლოდ ერთი დამახასიათებელი კუთხე გავიხსენოთ მთამსვლელობით მისი გატაცებისა. ეს იყო მთის პეიზაჟის უბადლო, პოეტური ჭვრეტის უნარი. იქნებ სწორედ ამანაც დააკავშირა გურამი მისი გატაცების მეორე სფეროსაც — ფოტოგრაფიას, რომლითაც იგი არანაკლებ ცნობილი გახდა, ვიდრე ალპინიზმით.

— სურათის გადაღება ჩემთვის იგივეა, რაც პოეტისათვის ლექსის დაწერა, — მითხრა ერთხელ გურამმა. ამაზე უკეთესად გურამ თიკანაძე, როგორც ფოტოხელოვანი, არავის არ შეუძლია დაახასიათოს.

როდესაც გურამი სურათს იღებდა, მას მოუნახავდა ისეთ ორიგინალურ კუთხეს, რომელსაც ჩვეულებრივი ფოტოგრაფის თვალი ვერც კი შენიშნავდა. დიახ, ისე, როგორც მხატვრის მიერ დახატული სურათი, ანდა მოქანდაკის ხელით გამოკვეთილი ქანდაკება ატარებს თავის გარკვეულ შინაარსს.

გურამის მიერ გადაღებული ესა თუ ის ფოტოსურათი, ბუნების ლამაზი პეიზაჟი იქნება ის, თუ გულშემზარავი ციცაბო კლდეები და მიუვალი გამოქვაბულები, ალპინისტური ასვლები მნახველებში ყოველთვის ქმნიდა ლირიკულ განწყობილებას და ამიტომ ის იყო ლირიკოსი ალპინისტიც და ფოტო-ხელოვანიც. ასეთ ლირიკულ გუნებაგანწყობილებას ის ამჟღავნებდა არა მარტო ფოტოსურათებში, არამედ ყველგან, მეგობრებში, ამხანაგებში, სამსახურში, მაღალი მთის მწვერვალებზე.

ბუნებასთან ადამიანის ბრძოლის თემა გურამს მთამსვლელობაშიც, ფოტოხელოვნებაშიც და ცხოვრებაშიც იტაცებდა. და აქაც, როცა იგი არაალპინისტურ სურათებს იღებდა, ისევ და ისევ მძლავრად სცემდა შემოქმედი ოსტატის ხელოვნება.

გურამი 1963 წლის აგვისტოს სვანეთში გაემგზავრა. წასვლის წინ სახლში გამომიარა და მითხრა: სვანეთიდან რომ დავბრუნდები, ექსპედიცია უნდა მოვაწყო „პობედის" მწვერვალზე, ჩემი მეგობარი ილია გაბლიანი უნდა მოვნახო და ჩამოვასვენოო. მას ეს არ დასცალდა და თვითონ გაინაწილა ტრაგიკულად დაღუპული თავისი მეგობრის ბედი.

ა. სიგუა.



სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

## ქულები — თანაბრად

თბილისი. „დინამოს" სტადიონი, 26 აგვისტო.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — სკა (ოდესა) 2:2 (1:0).

„ლოკომოტივი": რუხაძე, ჩხაიძე, კანდელაკი, წოწელია, კიზირია, მუმლაძე, შაფათავა, აპრესიანი, იაშვილი, ახალკაცი, კოშკელოვი.

სკა: კარაკოზოვი, ჩინენოვი, არხიპენკო, მასლოვსკი, ბარდეშინი, კობილოჩნი, სპირიდონოვი, პეტროვი, სარიგინი, სნიტკო, ბლინდერი.

მსაჯი ლ. მოპსიკოვი (კუიბიშევი).

ქვეჯგუფის ლიდერმა თამაში დაიწყო ბურთის ზუსტი გათამაშებით, ძირითადი აქცენტი შეტევისას კეთდებოდა ცენტრში, სადაც შეტევისას ხშირად შედიოდნენ ნახევარმცველებიც. საერთო უპირატესობას სტუმრები კარგა ხანს ფლობდნენ, თუმცა სახიფათო მომენტები მათ არ შეუქმნიათ.

გაცილებით უფრო მოულოდნელი და მწვავე იყო „ლოკომოტივის" კონტრიერიშები. აქ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ორივე გარემარბი — კოშკელოვი და შაფათავა. რამდენიმე გამოუყენებელი შესაძლებლობის შემდეგ იაშვილმა ზუსტად დაამთავრა კომბინაცია და მარჯვენა ფრთიდან გახსნა ანგარიში — 1:0.

თბილისელები კიდევ უფრო დაწინაურდნენ მეორე ტაიმში, როცა აპრესიანმა მეორე ბურთი გაგზავნა არმიელთა კარში ჩხაიძის მოწოდებიდან — 2:0. გამარჯვება თითქოს უზრუნველყოფილი იყო, მაგრამ სტუმრებს 11-მეტრიანი დარტყმის უფლება მიეცათ და სარიგინმა იგი ზუსტად გამოიყენა — 1:2. მატჩის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე „ლოკომოტივის" დაცვამ საშუალება მისცა იმავე სარიგინს გაეტანა მეორე ბურთი — 2:2.

### გადამწყვეტი ტურის წინ

გუშინ გაიმართა მორიგი ტურის მატჩები მეორე ქვეჯგუფში. აი მათი შედეგები: „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) — „არარატი" (ერევანი) 1:1, „ტრუდი" (ვორონეჟი) — „შახტიორი" (ყარაგანდა) 0:0, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „ალგა" (ფრუნზე) 1:1, „სპარტაკი" (გომელი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 0:1, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „დინამო" (ტალინი) 2:0, „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „კარპატი" (ლვოვი) 1:1.

ამრიგად, თბილისის „ლოკომოტივის" შანსები შვიდეულში მოხვედრაზე კიდევ უფრო გაიზარდა. მას ამჟამად აქვს 26 ქულა და ბურთების სხვაობა +7. მისი კონკურენტებია მხოლოდ „ტრუდი" (ვორონეჟი) — 25 ქულა, ბურთების სხვაობა მინუს 5 და „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — 24 ქულა, ბურთების სხვაობა +2. ბოლო მატჩს თბილისელები ატარებენ ვოლგოგრადში, ადგილობრივ „ტრაქტორთან", „ტრუდი" საკუთარ მოედანზე ხვდება „ალგას" (ფრუნზე), ხოლო „მეტალურგი" თამაშობს ტალინში, ადგილობრივ „დინამოსთან". ეს ტური შედგება 31 აგვისტოს.

## „ბ" კლასის ლიდერები

გადამწყვეტ ფაზაში შევიდა საკავშირო პირველობის გათამაშება ფეხბურთში „ბ" კლასის რსფსრ-ს ზონებში, სადაც სხვებთან ერთად მონაწილეობენ ამიერკავკასიისა და შუა აზიის მოკავშირე რესპუბლიკათა გუნდებიც.

**პირველ ზონაში** მნიშვნელოვნად დაწინაურდა სერპუხოვის „ზვეზდა", რომელსაც 38 ქულა აქვს 22 ტურის შემდეგ, აგრეთვე გატანილი და მიღებული ბურთების საუკეთესო ბალანსი: 52—9. თუ რამდენად წინაა ეს გუნდი, შეგვიძლია ვიმსჯელოთ თუნდაც იმ ფაქტით, რომ მეორე ადგილზე მყოფი „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) ლიდერს ჩამორჩება 9 ქულით.

**მეორე ზონა.** განსხვავება პირველ და მეორე ადგილებზე მყოფ გუნდებს შორის აქაც საგრძნობია. „ზნამია ტრუდას" (ორეხოვო-ზუევო) აქვს 34 ქულა, ხოლო რიაზანის „სპარტაკს" — 29.

გაცილებით უფრო დაძაბულია ბრძოლა **მესამე ზონაში.** აქ „შრ. რეზერვებს" (კურსკი), „პროგრესს" (კამენსკ-შახტინსკი) და „ვოლგარს" (ასტრახანი) ქულათა თანაბარი რაოდენობა აქვთ — 25. კურსკის ფეხბურთელები წინ არიან მხოლოდ გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით.

**მეოთხე ზონა.** აქ რსფსრ-ს კოლექტივებთან ერთად მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკათა, კერძოდ, საქართველოს ფეხბურთელებიც. ლიდერობას კარგა ხანია ინარჩუნებს „თერგი" (გროზნო), რომელსაც 25 ტურის შემდეგ აქვს 34 ქულა. რსფსრ-ს გუნდებიდან მეხუთე ადგილზეა მახაჩყალის „დინამო" — 27 ქულა 24 თამაშის შემდეგ. მოკავშირე რესპუბლიკათაგან მეორე ადგილზეა ბათუმის „დინამო", რომელიც „თერგს" ჩამორჩება მხოლოდ ერთი ქულით, მაგრამ ჩატარებული აქვს 24 შეხვედრა. მესამე ადგილზეა კიროვაბადის „დინამო" — 29 ქულა 24 მატჩის შემდეგ.

**მეხუთე ზონაში** ლიდერები ასე არიან განაწილებული: „ურალეცი" (ნიჟნი ტაგილი) — 29 ქულა, „სტროიტელი" (უფა) და „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი) — 28 ქულა თვითეულს.

**მეექვსე ზონაში** პირველ ადგილს ინარჩუნებს ბარნაულის „ტემპი". მომდევნო ადგილებზე არიან „ავანგარდი" (ამურის კომსომოლსკი), „სტარტი" (ანგარსკი) და „ირტიში" (ომსკი). ამ გუნდებს აქვთ 28 ქულა თვითეულს და ადგილების განაწილება მათ შორის ხდება მხოლოდ გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობით.



▲ ბუდაპეშტი. დადგინდა უნგრეთის ფეხბურთელთა ოლიმპიური ნაკრების კანდიდატთა სია. მასში შევიდნენ: სენტმიხაი („ვაშაში"), ნოვაკი („ფერენცვაროში"), იხაში („ვაშაში"), ნადი (მტკ), მაროში („ჰონვედი"), ოროსი („ფერენცვაროში"), ბენე („დოჟა"), დუნაი II („პეჩი"), კატონა („ჰონვედი"), გელეი („ტატაბანია"), ვარგა („ფერენცვაროში"), პუშკაში („დებრეცენი"), კომორა („ჰონვედი").

▲ **მილანი. ევროპისა და სამხრეთ ამერიკის ფეხბურთელთა უძლიერესი საკლუბო გუნდების ტრადიციული მატჩი გაიმართება სექტემბერში. 9 სექტემბერს ფეხბურთელები ერთმანეთს სამხრეთ ამერიკაში შეხვდებიან, ხოლო 16 სექტემბერს—მილანში. თუ ამ ორმა მატჩმა ვერ გამოავლინა უძლიერესი, დაინიშნება მესამე შეხვედრა ნეიტრალურ მინდორზე (23 სექტემბერს ბრესლავში).**

▲ ლონდონი. ინგლისის საფეხბურთო წრეებში დიდი შეშფოთებაა იმის გამო, რომ მზის სინათლეზე ამოტივტივდა ცალკეულ მოთამაშეთა ბინძური მაქინაციები (ქულების ყიდვა-გაყიდვა, მსაჯების მოქრთამვა და ა. შ.). ფეხბურთის „შავი ბაზრის" საქმეს განიხილავს მენსვილდის სასამართლო. პროცესი დაიწყება 28 სექტემბერს. საბრალდებლო სკამზე დასხდებიან: ტონი კეი („ევერტონი"), პიტერ სვონი („შეფილდი"), დევიდ ლეინი („შეფილდი"), დიკ ბიტლი („პორტსმუტი").

▲ **პარიზი.** ფეხბურთის ცნობილმა ფრანგმა მსაჯმა კულონმა (ქალაქ ლიმოჟიდან) განრისხებული გულშემატკივრებისაგან თავის დასაცავად მეტად ორიგინალური ხერხი გამონახა. მან მოათვინიერა ვეებერთელა გერმანული ჯიშის დოგი, რომელიც მუდამ თან დაჰყავს მატჩებზე. საკმარისია კულონის მიმართ მაყურებელმა რეპრესია განიზრახოს, დოგი იმავ წამს საბრძოლო მდგომარეობას იღებს და მზადაა გააფთრებით ეცეს „მტერს".

▲ **რიო-დე-ჟანეირო. როგორც ცნობილია, 1965 წელს ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრები ეწვევა საბჭოთა კავშირს. ეროვნულმა ფედერაციამ შეადგინა შეხვედრათა თარიღების საკუთარი ვარიანტი: პირველი მატჩი — 5 ან 10 მაისს, მეორე შეხვედრა — 15 მაისს.**

## უცხოეთის სპორტის ქრონიკა

### მოკრივე, ტორეადორი, ხეიბარი

27 წლის ლუის ფოლედოს კარგად იცნობენ პროფესიული კრივის სამყაროში. ფოლედომ მთელი რიგი ბრწყინვალე გამარჯვებებით ადვილად მოიპოვა ესპანეთის ჩემპიონის ტიტული საშუალო წონაში. შემდეგ იგი ევროპულ რინგზე გამოვიდა და აქაც ერთბაშად დიდ წარმატებას მიაღწია. ფოლედო გახდა ევროპაში პროფესიული რინგის ერთ-ერთი აღიარებული ფავორიტი.

თავისი სპორტული ოსტატობის ზენიტში მოკრივემ მოულოდნელად მიატოვა რინგი და ტორეადორი გახდა. კორიდა ამჟამად დიდი პოპულარობით სარგებლობს ესპანელ სპორტსმენებში და ბევრი მის გამო თავს ანებებს სპორტს. გაშმაგებულ ხართან ბრძოლა უხიფათო „გართობა" არ არის და ხშირად იგი სავალალო შედეგით მთავრდება.

ასე მოუვიდა ფოლედოსაც. ქალაქ ჩარდელში გამართული კორიდის დროს იგი ხარმა სასტიკად დაასახიჩრა. ექიმების აზრით ტორეადორის სიცოცხლე აღარაა საფრთხეში, მაგრამ ფოლედო სამუდამოდ ხეიბარი დარჩება.

### ლა-მანშის რეკორდსმენი

ლა-მანშის სრუტე დიდი ხანია იზიდავს მარათონული ცურვის რეკორდსმენებს. ჩვენი საუკუნის დასაწყისში სარეკორდო გაცურვები მეტწილად ფინანსიურ ღონისძიებას წარმოადგენდა. ამჟამად კი მან უფრო სპორტული ხასიათი მიიღო.

1961 წლის სექტემბერში (აგვისტო-სექტემბერი ლა-მანშზე ცურვისათვის ყველაზე ხელსაყრელი პერიოდია) პაკისტანელმა ბროიენ დასმა გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი, გაცურა რა 22 მილი 10 საათსა და 35 წუთში.

ამ ცოტა ხნის წინ ინგლისელმა ბარი ვოტსონმა მოხსნა პაკისტანელის რეკორდი. მან ლა-მანშის გადაცურვას 9 საათი და 35 წუთი მოანდომა.


# დ ღ ე ს!



(5 სექტემბრამდე.

## მეგობრების ცირკი

საერთაშორისო პროგრამა

მონაწილეობენ: ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის, მონღოლეთისა და საბჭოთა კავშირის მსახიობები.

დასაწყისი 8 საათზე.


რედაქტორის მაგიერ ზ. ჯაფარიძე.


გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 3-35-09, ქვესადგური (3-15-00-დან 09-მდე)—პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 5-14, ფოტოლაბორატორია—5-16, მემანქანეთა ბიურო—5-11, გამომშვები—3-81.






საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 08335